თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2930666

ნომერი: AR1450871

თარიღი : 24.10.2016

გაცემის თარიღი : 07.11.2016

გაცნობის თარიღი : 11.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე სოლომონ II-ის ქუჩა N27 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუსერიძე პ/ნ 01002019244
- თბილისი მეფე სოლომონ მეორეს 10

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1450871 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, მეფე სოლომონ II-ის ქ. #27-ში და კრწანისის ქ. #15-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ #01.18.06.006.238; #01.18.06.006.096) გზის მოწყობის და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 18 ოქტომბერს #AR1449486 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ლაშა ლალიაშვილმა და მოითხოვა ქ.თბილისში, ქუჩა #3-ის მიმდებარედ საავტომობილო გზის პროექტის შეთანხმება. სამსახურის #2908553 გადაწყვიტილებით აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი, ვინაიდან საპროექტო ობიექტისათვის არ არის დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი).

2016 წლის 26 ოქტომბერს #AR1451555 ელექტრონული განცხადებით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე ლაშა ლალიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, კრწანისის ქ. #15-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.18.06.006.096) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის და საავტომობილო გზის მშენებლობისათვის, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2016 წლის 04 ნოემბერს #AR1452505 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე მარიამ შაიშმელაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, მეფე სოლომონ II-ის ქ. #27-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.18.06.006.238) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.